ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

განკარგულება:**გ-17. 17241172**
თარიღი:**26/04/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის გამწვანება-2012“-ს დირექტორის ანგარიში 2023 წელს განხორციელებული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ბორჯომის გამწვანება 2012“-ს დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა N60ᵃ)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ "ბორჯომი გამწვანება 2012"
2023 წლის ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ

ა(ა)იპ "ბორჯომი გამწვანება2012"-ის სამსახურს 2023 წელს სუფსიდიით დაფინანსება ქონდა სულ: 327080 ლარი.

დასაქმებული იყო 26 კაცი, სახელფასო ფონდი წლის დასაწყისისათვის ფისკალური გეგმით იყო 245858 ლარი, ხოლო წლის ბოლოს დაგვჭირდა სადღესასწაულო წახალისებისთვის 17856 ლარი და სულ სახელფასო ფონდმა შეადგინა 263714 ლარი, საქონელი და მომსახურებამ შეადგინა 62108, ხოლო არაფინანსურმა აქტივმა კი 1258 ლარი.

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ "ბორჯომი გამწვანება 2012"-ის საქმიანობაში შედის ქალაქში და ქალაქის გარე უბნებში არსებული სკვერების, ბაღ-პარკების გაზონების და გამწვანებული ზოლების მოწესრიგება. მათი შევსება ყვავილებით და მარადმწვანე დეკორატიული მცენარეებით, ბაღ-პარკებში და სკვერებში არსებული ყვავილებისა და მარადმწვანე ფოთოლმცვენი დეკორატიული ხე-მცენარეების და სხვა გამწვანებული ზოლების, მთელი წლის განმავლობაში მოვლა პატრონობა.

ა(ა)იპ "ბორჯომი გამწვანება 2012" მიერ 2023 წელს განხორციელდა შემდეგი სახის საქმიანობები:

პირველი კვარტალი: გაიწმინდა სკვერებში სავალი ნაწილები თოვლისგან და ყინულისგან. მოხდა ბუჩქოვანი და დეკორატიული მცენარეების გადაბელვა, ხე მცენარეები გასუფთავდა ხმელი და ზედმეტი ტოტებისგან და შემდეგ მოხდა მათი მოგროვება და გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის გარე უბნებში და ასევე მარადიულ ცეცხლთან არსებულ ფერდობზე გაიწმინდა ტერიტორიები ეკალ ბარდიანი ბუჩქებისგან. გასუფთავდა სკვერები, ბაღ-პარკები და გაზონები შემთხვევითი ნაგვისგან და ნარჩენი ფოთლებისგან. მოხდა დეკორატიული მცენარეების შემობარვა, მარტის თვეში შეტანილი იქნა ორგანული სასუქი საყვავილე კლუმბებში და მოხდა ნიადაგის დაფოცხვა, დაბარვა და მომზადება ყვავილების დასარგავად.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის გარე უბნებში იდევნებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ოთხფეხა ჩლიქოსანი ცხოველი.

მეორე კვარტალი: გასუფთავდა სკვერები, ბაღ-პარკები და გაზონები შემთხვევითი ნაგვისგან, შეტანილ იქნა ორგანული სასუქი მრავალწლიან ბუჩქებისა და ხე-მცენარეების ძირებში ჩაბარვით, თითოეულ ხე-მცენარეს გაუკეთდათ სარწყავი ჯამები, მოხდა მოედანზე არსებული ხეივნის გასხვლა და თოკებით დამაგრება, მოხდა სკვერებში არსებული საბარდიურე ბუჩქების (ტუია,ლუგუსტრუმი, წყავი,ბზა) გაკრეჭვა და ფორმირება სამი მხრიდან, მათი მოგროვება და გატანა. განმეორებით მოხდა საყვავილე ნიადაგის გადაბარვა, გაფხვიერება და მომზადება ყვავილების დასარგავად. მოხდა სხვადასხვა სახეობის გაზონის ყვავილების ჩითილების დარგვა. დარგვისთანავე მოირწყა ნიადაგი და ეს პროცესი მეორდებოდა ყოველ სამ დღეში ერთხელ, ხოლო ყოველ ათ დღეში ერთხელ ხდებოდა ყვავილების გათოხვნა, გამარგვლა,დაზიანებული ყვავილების ამოღება და ჩანაცვლება ახალი ყვავილებით და მორწყვა. მაისიდან შეიწამლა შხამ ქიმიკატებით ბზებისა და წყავის მრავალწლიანი ბუჩქები

მავნებლების საწინააღმდეგოდ. სკვერებში არსებულ ცალკე მდგომ ბუჩქებს გაუკეთდათ სარწყავი ჯამები და გაფხვიერდა ნიადაგი, მოხდა ტუიისა და წყავის ბუჩქების მწკრივების დაბარვა და მორწყვა. გაითიბა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის გარე უბნებში არსებული ბაღ-პარკები, გაზონები და გამწვანებული ზოლები და მოხდა გათიბული მასის მოგროვება და გატანა.

იდევნებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ოთხფეხა ჩლიქოსანი ცხოველი.

მესამე კვარტალი: გასუფთავდა სკვერები, ბაღ-პარკები და გაზონები შემთხვევითი ნაგვისგან, მოხდა ყვავილების გამარგვლა, მცენარეების ირგვლივ გათოხვნა, ჩაბარვა, ბუჩქებისა და ხე-მცენარეების გამონთავისუფლება სარეველა ბალახისგან მათი მოგროვება და გატანა, ეგ. წოდ.ჯამების გაკეთება და მორწყვა. მოხდა წყავების, საბარდიურე ტუიების, კვიპაროსების, ლუგუსტრუმის, ბზების გაკრეჭვა და ფორმირება, შეიწამლა ბზები შხამ - ქიმიკატებით, წყავს გაუჩნდა ჟანგა რომელიც შეიწამლა ბი-58-ით და აქტარის ნაზავით, ემონიუმის ბუჩქებს გაუჩნდა მავნებელა შეიწამლა და დამუშავდა კუნგ-ფუსა და აქტარის ნაზავით, მოხდა დაზიანებული ყვავილების ამოღება და ჩანაცვლება ახალი ყვავილებით, სკვერები, ბაღ-პარკები და გაზონები დასუფთავდა ფოთლებისგან და სხვადასხვა ნარჩენებისგან, მოხდა მათი მოგროვება და გატანა, ცალკე მდგომ ბუჩქებს გაუკეთდათ სარწყავი ჯამები, გაფხვიერდა ნიადაგი, მოხდა ტუიის და წყავის ბუჩქების დაბარვა მწკრივებში, მოხდა საბარდიურე ბუჩქების (ტუია, ლუგუსტრუმი, წყავი, ემონიუსის, ბზა) გაკრეჭვა და ფორმირება სამი მხრიდან მათი მოგროვება და გატანა. სკვერებში მოვახდინეთ ახალი ნარგავების ეგ.წოდ.კვიპაროსის აბმა ნარგავის გასამყარებლად, მოხდა გაზონების გაწმენდა სარეველა ბალახისგან, შემდეგ მოხდა ნიადაგში დამწვარი ნაკელის შეტანა ჩაბარვით, გაფხვიერდა ნიადაგი, ცალკე მდგომ ბჩქებს გაუკეთდათ სარწყავი ჯამები. გაითიბა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის გარე უბნებში არსებული ბაღ-პარკები, გაზონები და გამწვანებული ზოლები და მოხდა გათიბული მასის მოგროვება და გატანა.

იდევნებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ოთხფეხა ჩლიქოსანი ცხოველი.

მეოთხე კვარტალი: გასუფთავდა სკვერები, ბაღ-პარკები და გაზონები ჩამოცვენილი ფოთლებისგან და შემთხვევითი ნაგვისგან, გაიწმინდა გაზონები სარეველა ბალახისგან და მოხდა დამწვარი ნაკელის შეტანა ჩაბარვით, ხე-მცენარეებზე მოხდა ხმელი და ზედმეტი ტოტების მოჭრა მოგროვება და მათი გატანა, გასუფთავდა ბუჩქები დაზიანებული და ზედმეტი ტოტებისგან, ყვავილები დასუფთავდა დაყვავილებული ხმელი ნარჩენებისგან, გაითიბა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის გარე უბნებში არსებული ბაღ-პარკები, გაზონები და გამწვანებული ზოლები და მოხდა გათიბული მასის მოგროვება და გატანა.

მუნიციპალიტეტისა და მის გარე უბნებში სანაპიროებზე მოხდა ეკალ- ბარდიანი ბუჩქების დაჭრა, დაჩეხვა და დაჭრილი მასის მოგროვება და მათი გატანა. კვლავ მოხდა მცენარეებზე ხმელი და ზედმეტი ტოტების შეჭრა. დაიწყო დაყვავილებული და უკვე გამხმარი ყვავილების ამოღება, ამის შემდეგ მოხდა საყვავილეებში არსებული ნიადაგის მზრალად გადაბარვა და გაფხვიერება, ყინვების დაწყებამდე შეტანილი იქნა გაცრილი ნეშომპალა ნიადაგში.

იდევნებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ოთხფეხა ჩლიქოსანი ცხოველი.